# განმარტებითი ბარათი

## საქართველოს კანონის პროექტზე
## „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

### ა) ზოგადი ინფრომაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია საკომუნიკაციო სფეროს განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის შემუშავების მიზანია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სფეროსთვის აქციზის სახით არსებული საგადასახადო ტვირთის ეტაპობრივი შემცირება და აღნიშნული გზით საკომუნიკაციო სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის დაწესებული აქციზის არსებული 8%-იანი განაკვეთი შენარჩუნდება 2017 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე განაკვეთი შემცირდება 3 პროცენტამდე.

2018 წლის პირველი იანვრიდან მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა აქციზით აღარ დაიბეგრება.

სწორედ ამ მიზნით ხორციელდება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების აქციზით დაბეგვრის შესაბამისი დებულებების ამოღება საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებიდან, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის პირველი იანვრიდან. ხოლო 309-ე მუხლის გარდამავალ დებულებებს ემატება ახალი 92-ე ნაწილი რომელიც ადგენს აღნიშნულ მომსახურებაზე არსებული განაკვეთის ოდენობას.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

#### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას 2016 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი საკომუნიკაციო მომსახურებისათვის *(იმ მომსახურებაზე, რომელზეც ხდება აქციზის განაკვეთის შემცირება)* დაწესებული აქციზიდან დაახლოებით შეადგენს - 39 მლნ.ლარს. ამ კანონის მიღებით 2017 წლიდან აქციზის განაკვეთი შემცირდება 5%-ით, რაც 2017 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს 2016 წელთან შედარებით, სავარაუდოდ შეამცირებს 24 მლნ. ლარით.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

**ბ.ე) კანონპრექტი მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი დადებითად აისახება იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ ხდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღება.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილოლება მიიღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეკონომიკური საბჭოსა და ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენლებმა.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი ზურაბ ტყემალაძე

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი ზურაბ ტყემალაძე